ვამტკიცებ:

გენერალური დირექტორი
შპს «ბათუმის ნავთობტერმმინალი»
ფარხატ ტაშიბაევ

«___» ________ 2024 г.

**Утверждаю**

**Генеральный директор**
**ООО «Батумский нефтяной терминал»**
**Фархат Ташибаев**

**«___» ________ 2024 г.**

# ტექნიკური დავალება

# Техническое задание

## რეზერვუარების საშუალო ჯერადობის ქაფის გენერატორების ГПСС-2000-ის 2025 წელს შემოწმების სამუშოების ჩატარება

## На проведение осмотра генераторов пены средней кратности ГПСС-2000 резервуаров в 2025 году

დამკვეთი:
შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

**Заказчик:**
**ООО «Батумский нефтяной терминал»**

სამუშაოების მახასიათებლები:
ნავთობპროდუქტების შესანახად ვერტიკალურ რეზერვუარებზე დამონტაჟებული საშუალო ჯერადობის ქაფის გენერატორების შემოწმების სამუშაოები

**Характеристика работ:**
Работы по осмотру пеногенераторов пены средней кратности, установленных на вертикальных резервуарах для хранения нефтепродуктов

საფუძველი:
საშუალო ჯერადობის ქაფის გენერატორების პასპორტი / ექსპლუატაციის სახელმძღვანელო

**Обоснование:**
Паспорт / руководство по эксплуатации пеногенераторов пены средней кратности

ქ. ბათუმი, 2024 წ.

Батуми, 2024

# ტექნიკური დავალება

## რეზერვუარების საშუალო ჯერადობის ქაფის გენერატორების ГПСС-2000-ის 2025 წელს შემოწმების სამუშოების ჩატარება

### 1. სამუშაოების ჩატარების მიზანი

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა:
საშუალო ჯერადობის, სტაციონარული ტიპის ქაფის გენერატორების (ГПСС) (შემდგომში - „ქაფის გენერატორი") მუშაობის უნარის შემოწმება, რომლებიც გამოიყენება შპს „ბათმის ნავთობტერმინალი"-ს (შემდგომში - საზიოგადოება) ნავთობის და ნავთობპროდუქტების რეზერვუარების ქაფით ხანძრის ქრობის სტაციონარულ დანადგარებში.

### 2. სამუშაოების მოცულობა

საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში 68 რეზერვუარზე განთავსებული 187 ერთეული „ქაფის გენერატორის" 2025 წელს ჩასატარებელი ყოველთვიური და ყოველწლიური შემოწმება.

### 3. სამუშაოების ჩატარების დასაგეგმი დრო

„ქაფის გენერატორების" შემოწმების სამუშაოები ტარდება გრაფიკით, რომელსაც დამკვეთს წარუდგენს საზოგადოება:
— 11 (თერთმეტ) ჯერ წელიწადში – ყოველთვიური შემოწმება;
— 1 (ერთ) ჯერ წელიწადში - სარეგლამენტო სამუშაოები.

— ყოველთვიური შემოწმება - ყოველი თვის დასაწყისიდან და სრულდება თვის ბოლოს;
— სარეგლამენტო სამუშაოები - მაისის თვეში.

ყოველთვიური და სარეგლამენტო სამუშაოების მოცულობა იხ. თავებში 5 და 6 შემდეგ.

### 4. მოთხოვნები სანარდო ორგანიზაციის და მისი პერსონალის მიმართ

# Техническое задание

## На проведение осмотра генераторов пены средней кратности ГПСС-2000 резервуаров в 2025 году

### 1. Цель проведения работ

**Обеспечение пожарной безопасности:**
Проверка работоспособности генераторов пены средней кратности стационарного типа ГПСС (далее – Пеногенератор), предназначенных к применению в стационарных установках пенного пожаротушения резервуаров с нефтью и нефтепродуктами ООО «Батумский нефтяной терминал» (далее – Общество).

### 2. Объем работ

Ежемесячная и ежегодная проверка на 2025 год пеногенераторов в количестве 187 единиц, расположенных на 68-ми резервуарах по разным структурным подразделениям Общества.

### 3. Периодичность и график проведения работ

Работы по проверке Пеногенераторов проводятся по графику, предоставляемому Обществом заказчику:
— 11 (одиннадцать) раз в год – ежемесячные осмотры;
— 1 (один) раз в год - регламентные работы.

— Ежемесячные осмотры – с начала и оканчиваются в конце каждого месяца;
— Регламентные работы – в мае месяце.

Объем ежемесячных и регламентных работ см в главах 5 и 6 далее.

### 4. Требования к подрядной организации и его персоналу

| | |
|---|---|
| 4.1 წინამდებარე ტექნიკური დავალების პუნქტი 3-ში მითითებული პერიოდულობით „ქაფის გენერატორების“ შემოწმების განსახორციელებლად, შემსრულებელს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. | 4.1 Для проверок Пеногенераторов с указанной в пункте 3 настоящего Технического задания, Исполнитель должен иметь опыт на выполнение аналогичных работ не менее 3-х лет. |
| 4.2 ხელშეკრულების გაფორმების დროს მათ უნდა წარმოადგინონ: | 4.2 При заключении договора представить: |
| 1) ბრძანების ასლი სამუშაოების პასუხიმგებელი ხელმძღვანელების/შემსრულებლების დანიშვნის შესახებ; | 1) копию приказа о назначении ответственных руководителей / производителей работ. |
| 2) დოკუმენტების ასლები, რომლებიც ადასტურებენ სამუშაოების შემსრულებლების კვალიფიკაციას და მათ მიერ შრომის უსაფრთხოების დარგში სწავლების გავლას; | 2) копии документов, подтверждающих квалификацию исполнителей работ и проведенное обучение по безопасности труда. |
| 3) დადასტურება იმისა, რომ სანარდო ორგანიზაციას / მენარდეს ჰყავს სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების დარგში, რომელსაც გავლილი აქვს სწავლების კურსი აკრედიტებული პროგრამის მიხედვით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად; | 3) подтверждение наличия у Подрядной организации / Подрядчика специалиста по безопасности труда, прошедшего курс обучения по аккредитованной программе в соответствии с Органическим законом Грузии «О безопасности труда»; |
| 4) სანარდო ორგანიზაციის/ მენარდის მიერ სამუშაოების შესრულების პროცესში გამოსაყენებელი მოწყობილობების ჩამონათვალი; | 4) перечень оборудования, применяемого Подрядной организацией / Подрядчиком в процессе выполнения работ; |
| 5) ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ჩამონათვალი; | 5) перечень средств индивидуальной защиты; |
| 6) დასაქმებულების სამედიცინო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები; | 6) копии медицинского страхования работников; |
| 7) ჟურნალებისა და ინსტრუქციების ჩამონათვალი შრომის უსაფრთხოების დარგში, რომლებიც გამოყენებული იქნება საზოგადოების ობიექტზე სამუშაოების განხორციელების დროს, აირსაშიში სამუშაოების უსაფრთხო ჩატარების ორგანიზების ინსტრუქციის ჩათვლით; | 7) перечень журналов и инструкций по безопасности труда, которые будут использованы на объекте Общества, при осуществлении работ, включая инструкцию по организации безопасного проведения газоопасных работ. |
| 8) სამუშაოების წარმოების გეგმა (ППР). | 8) план производства работ (ППР). |
| 4.3 სამუშაოების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოთ: | 4.3 При производстве работ руководствоваться: |
| 1) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 28 ივლისის №370 დადგენილებით „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ | 1) Постановлением правительства Грузии №370 от 28.07.2015 года «Об утверждении правил пожарной безопасности и условий технического регламента». |

| | |
|---|---|
| ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. | |
| 2) „საშუალო ჯერადობის სტაციონარული ტიპის გენერატორის (ГПСС)“ დამამზადებელი ქარხნის პასპორტით, თავი 7. ტექნიკური მომსახურება. პ - 7.3 (მოგაწოდებთ საზოგადოება). | 2) Паспортом завода-изготовителя на «Генератор пены средней кратности стационарный типа ГПСС». Глава 7. Техническое обслуживание. П 7.3 (предоставляется Обществом). |
| 4.4 სამუშაოების შესრულების დროს უნდა შესრულდეს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები: | 4.4 При выполнении работ должен соответствовать следующим минимальным требованиям |
| 1) „გენერატორების“ ტექნიკური მომსახურების და რემონტის განსახორციელებლად დაშვებული უნდა იქნენ 18 წელს მიღწეული პირები, რომელთაც გავლილი აქვთ სამედიცინო შემოწმება, შემყვანი ინსტრუქტაჟი, ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე, პრაქტიკული სტაჟირება, ცოდნის შემოწმება და დაშვებული არიან დამოუკიდებლად სამუშაოდ. (უნდა დაადასტუროთ დოკუმენტების ასლებით); | 1) Для технического обслуживания и ремонта генераторов должны быть привлечены лица, достигшие 18 – летнего возраста, после прохождения медицинского осмотра, вводного инструктажа, инструктажа на рабочем месте, практическую стажировку, проверку знаний и допущенные к самостоятельной работе. (Подтвердить копиями документов). |
| 2) მომსახურე პერსონალმა კარგად უნდა იცოდეს „გენერატორის“ აგებულება და შეეძლოს გაუმართაობების აღმოფხვრა წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად; | 2) Обслуживающий персонал должен хорошо знать устройство генератора и уметь устранить неисправности согласно настоящей инструкции. |
| 3) მოქმედ ობიექტზე „გენერატორის“ ტექნიკურ მომსახურებასთან, რემონტთან, მონტაჟთან და დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა სამუშაო უნდა შეთანხმდეს საზოგადოებასთან, და შესრულდეს მხოლოდ აირსაშიში სამუშაოების შესრულებაზე განწეს-დაშვების თანახმად; | 3) Все работы по техническому обслуживанию, ремонту, монтажу и демонтажу генератора на действующем объекте должны быть согласованы с Обществом, и выполняться только согласно наряду-допуску на газоопасные работы. |
| 4) შემოწმების განხორციელება უნდა მოხდეს რეზერვუარებიდან/რეზერვუარებში ნავთობის მიღება/გაცემის ოპერაციების შეწყვეტიდან 2 საათის შემდეგ; | 4) Осмотр производить через 2 часа после прекращения операций по приему и отпуску нефти из резервуара. |
| 5) რეზერვუარის „გენერატორის“ ტექნიკური მომსახურების და რემონტის დროს პერსონალმა სამუშაოები უნდა განახორციელოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებში. სპეცფეხსაცმელს არ უნდა ჰქონდეს ლითონის ქუსლსაკრავები და ლურსმნები. | 5) Во время технического обслуживания и ремонта генератора резервуара персонал должен выполнять работы в средствах индивидуальной защиты. Спецобувь не должна иметь металлических подковок и гвоздей. |
| 6) გამოსაყენებელი ინსტრუმენტი და მოწყობილობები არ უნდა წარმოქმნიდეს ნაპერწკალს (სპილენძი, ბერილიუმიანი ბრინჯაო). ინსტრუმენტის სარტყამი და მჭრელი ნაწილები უნდა დაიფაროს კონსისტენტური საპოხის სქელი ფენით (სინთეზური სოლიდოლი, ცხიმოვანი სოლიდოლი); | 6) Используемый инструмент и приспособления должны быть не дающими искр (медь, бериллиевая бронза). Ударные и режущие части инструмента густо смазывать консистентными смазками (солидол, тавотом и др.). |

7) „გენერატორის“ შემოწმების და გახსნის შესრულების დროს მომსახურე პერსონალი უნდა იმყოფებოდეს ქარპირა მხარეს რათა არ მოხდეს სასუნთქ გზებში ორთქლებისა და აირების მოხვედრა.

4.5 შემსრულებლის მიერ სამუშაოების შესრულების დროს მომსახურების წესის და უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, საზოგადოებას უფლება აქვს ყოველ დარღვევაზე დააკისროს ჯარიმა 250 ლარის ოდენობით, რაც შეთანხმებული იქნება მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში.

## 5. რეგლამენტით გათვალისწინებულ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომლებიც ტარდება წელიწადში 1-ჯერ

5.1 დამცავი კორპუსის დაშლა და გაწმენდა კონდენსატისა და ჭუჭყისაგან;

5.2 სამონტაჟო მილტუჩის და მილსადენის (ხსნარსადენის) შემკვრივებების მდგომარეობის შემოწმება;

5.3 ქაფის გენერატორის გარე ხედის შემოწმება;

5.4 ბერკეტული სისტემის მდგომარეობის და მუშაობის უნარის შემოწმება;

5.5 ხელის ამძრავის ამოქმედების შემოწმება;

5.6 კასეტის დამცავი ბადეების მდგომარეობის შემოწმება, გარეცხვა და გაწმენდა;

5.7 აუცილებელია კასეტის შეცვლა მასში გარღვევების ან ბადეების 10 მმ-ზე მეტი ჩანაღუნის აღმოჩენის შემთხვევაში;

5.8 სახსრიანი შეერთებების გარეცხვა, გაწმენდა და დაზეთვა;

5.9 საფრქვეველის გარეცხვა და გაწმენდა;

5.10 კოროზიის ადგილების გამოვლენა და გამოსწორება, საფარების აშრევება;

5.11 ფერადი ლითონებისაგან დამზადებული დეტალების კონტაქტური ზედაპირების მდგომარეობის შემოწმება;

5.12 „გენერატორის“ გამოსავალი ღიობის შემკვრივების შემოწმება ჰერმეტულობაზე.

5.13 აწყობა და მონტაჟი.

7) При выполнении осмотра и вскрытия генератора обслуживающий персонал должен находиться с наветренной стороны во избежание попадания паров и газов в дыхательные пути организма.

4.5 При выявлении нарушении Исполнителем порядка обслуживания и требований безопасности при выполнении работ, Общество имеет право наложить штраф в размере 250 лари за каждое нарушение, что будет оговорено в договоре на закупку услуг.

## 5. Перечень регламентных работ, проводимых 1 раз в год

5.1 Разборка и очистка от конденсата и грязи защитного корпуса;

5.2 Проверка состояния уплотнений монтажного фланца и растворопровода;

5.3 Осмотр внешнего вида пеногенератора;

5.4 Проверка состояния и работоспособности рычажной системы;

5.5 Проверка срабатывания ручного привода;

5.6 Проверка состояния, промывка и чистка защитных сеток кассеты;

5.7 Кассету необходимо заменить при обнаружении разрывов или прогиба сеток более чем на 10мм;

5.8 Промывка, чистка и смазка шарнирных соединений;

5.9 Промывка и чистка распылителя;

5.10 Выявление и исправление мест коррозии, отслаивание покрытий;

5.11 Проверка состояния контактных поверхностей деталей, изготовленных из цветных металлов;

5.12 Проверка уплотнения выходного отверстия генератора на герметичность.

5.13 Сборка и монтаж.

5.14 აღნიშნული მოთხოვნების შესრულების შემოწმების შედეგები უნდა მიეთითოს მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტში.

5.14 Результаты проверок указанных требований указывать в Акте приема-сдачи услуг.

## 6. ყოველთვიურად ჩასატარებელი შემოწმების სამუშაოების ჩამონათვალი

6.1 ქაფის გენერატორების შემოწმება და გაწმენდა მტვრისა და ჭუჭყისაგან.

6.2 კოროზიის აღმოფხვრა.

6.3 სარქველების, მილსადენების, სარწყავების, შუასადებების, კონტაქტების და შემკვრელი ჭანჭიკების შემოწმება.

6.4 ვიზუალური შემოწმება ჰერმეტულობაზე.

6.5 გამოვლენილი გაუმართაობების აღმოფხვრა.

6.6 აღნიშნული მოთხოვნების შესრულების შემოწმების შედეგები უნდა მიეთითოს მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტში.

## 6. Перечень работ по осмотру, проводимых ежемесячно

6.1 Осмотр и очистка пеногенераторов от пыли и грязи.

6.2 Устранение коррозии.

6.3 Осмотр клапанов, трубопроводов, оросителей, прокладок, контактов и затяжных болтов.

6.4 Проверка на герметичность визуально.

6.5 Устранение выявленных неисправностей.

6.6 Результаты проверок указанных требований указывать в Акте приема-сдачи услуг.

## 7. რეგლამენტით გათვალისწინებულ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომლებიც ტარდება წელიწადში 1-ჯერ

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით «შემსრულებლის» საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით, «მხარეების» მიერ გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

## 7. Оплата за выполненные работы

7.1 Оплата осуществляется ежемесячно, в национальной валюте Грузии – лари, безналичным расчетом, путем перечисления суммы на расчетный счет Исполнителя, в течение 10 (десяти) банковских дней со дня подписания акта приема-сдачи оказанных Услуг.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“ მისამართზე: საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, წმინდა სევერიანე აჭარელის ქ. #4.

**Примечание: Для дополнительной информации обращаться в ООО «Батумский нефтяной терминал» по адресу: Ул. Святого Северяна Аджарели №4, г. Батуми, Аджарской АР, Грузия.**

***Составил:***

| Ведущий инженер пожарной безопасности | /........../ | Леван Беридзе |
|---|---|---|
| *Должность* | *Подпись* | *Имя, фамилия* |

***Согласовано:***

| Начальник отдела QHSE | /........../ | Кахабер Гучманидзе |
|---|---|---|
| *Должность* | *Подпись* | *Имя, фамилия* |